ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 5

ქ. ონი 23. 05. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, თამაზ მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ : ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2.ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ და აღნიშნა, რომ I კვარტლის შესრულების მაჩვენებელი დაბალია, პრობლემაა როგორც შესრულების კუთხით, ასევე, ბიუჯეტის დაგეგმარების კუთხითაც. მერიისა და საკრებულოს მეტი კოორდინირებული მუშაობაა საჭირო სასურველი შედეგის მისაღებად.

შ. ჯაფარიძემ ისაუბრა მუნიციპალიტეტში ბაღის მშენებლობის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ არსებული ბაღი ვერ გაივლის ავტორიზაციას და თუ დროულად არ გადაიჭრა საბავშვო ბაღის მშენებლობის საკითხი, ქალაქი აღმოჩნდება ბაღის გარეშე.

ა. ხვედელიანმა ისაუბრა საკრებულოს კუთვნილი ავტომობილის რემონტის აუცილებლობაზე.

ლ. ორდინიძემ ისაუბრა (ა)აიპებ-ის კუთვნილი თანხების არამართებულ ხარჯვაზე და აღნიშნა, რომ (ა)აიპებ-ის უმრავლესობას წლის ბოლოს მხოლოდ 70-80% აქვს ათვისებული. წლის მანძილზე კი პერიოდულად ითხოვენ თანხების დამატებას.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი ინფორმაციის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი ანგარიში და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე